მთლიანი შიდა პროდუქტი - I კვარტალი, 2016

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #75 / 01.07.2016

2016 წლის პირველი კვარტლის წინასწარი მონაცემებით:

- საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ს) ზრდამ 2.6% შეადგინა.
- ყველაზე მსხვილ სექტორებს მრეწველობა (16.9%), ვაჭრობა (15.8%) და ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (13%) წარმოადგენს.
- ყველაზე დიდი ზრდა (25.7%) მშენებლობის, ხოლო ყველაზე დიდი კლება (-1.7%) კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების სექტორში აღინიშნება.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წლის პირველ კვარტალში, წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი 2.6%-ია, რაც 2015 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 0.7 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება.

2016 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, ქვეყანაში შექმნილი დამატებითი ღირებულების 16.9% მრეწველობის, 15.8% - ვაჭრობის, 13% - ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, 9.8% - სახელმწიფო მმართველობის, 9% - უძრავი ქონების, 7.9% - სოფლის მეურნეობის, 6.7% - მშენებლობის, 6% - ჯანდაცვის, 5.4% - კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების, 4.7% - საფინანსო სექტორებზე მოდის.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წლის პირველ კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა სექტორების მიხედვით წინა წლის შესაბამისი სტრუქტურისგან განსხვავდება. პროდუქციის რეალური ზრდა აღინიშნა ყველა სექტორში გარდა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის (-0.4%) და კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურებისა (-1.7%). ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის (25.7%), საფინანსო (8.4%) და უძრავი ქონებით ოპერაციების (6.3%) სექტორებში.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, მრეწველობის სექტორში შექმნილი პროდუქციის ღირებულებამ 832.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 1.3%-ით აღემატება.

ამავე პერიოდში, ბიზნეს სექტორის მონაცემებზე დაყრდნობით, მრეწველობის სექტორში გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა (2,814 კაცით), რომელთა საშუალოთვიური შრომის ანაზრაურება ასევე აღემატება 2015 წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელს (5%-ით; 40 ლარით) და 856.5 ლარს შეადგენს.

2016 წლის პირველ კვარატლში ვაჭრობის სექტორის მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულება 1.9%-ით აღემატება 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელს და 777.3 მლნ ლარს შეადგენს.

ბიზნეს სტატისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით, ამ პერიოდში 11.1%-ით (14,867 კაცით) გაიზარდა აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. ასევე, 10%-ით (71 ლარით) არის გაზრდილი მათი საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2015 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, 2016 წლის პირველ კვარტალში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში შექმნილი დამატებითი ღირებულება მცირედით შემცირდა (-0.4%) და 637.5 მლნ ლარი შეადგინა.

აღნიშნული შემცირების მიუხედავად, 3.2%-ით გაიზარდა ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. 2015 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 4.1%-ით (47 ლარით) არის გაზრდილი მათი საშუალოთვიური ანაზღაურებაც.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2012	2013	2014	I 2015	II 2015	III 2015	IV 2015	2015	I 2016
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	15846.8	16139.9	16528.5	3325.0*	3407.6*	3545.0*	6682.3*	13,959.9*	3018.8*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3523.4	3599.6	3676.2	895.3*	917.6*	954.6*	986.6*	3759*	811.4*
მშპ-ს რეალური ზრდა	6.4%	3.3%	4.8%	3.2%*	2.5%*	2.5%*	2.9%*	2.8%*	2.6%*
ინფლაცია	-0.9%	-0.5%	3.1%					4.0%	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	911.6	941.9	1 758.4	175.3*	354.7*	489.0*	267.9*	1 351.1*	376.4*
უმუშევრობის დონე	15%	14.6%	12.4%					12%	
საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4739	4202	4200	3989	4181	4195	4315	4315	4396
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	22.4%	21.4%	21.4%					20.1%	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საპროგნოზო*